ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება. ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს. გაითვალისწინეთ, ტესტის II ნაწილში მოცემულია ორი ტექსტი. უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულოთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

თბილისში აღმაშენებლის გამზირზე, დგას შენობა რაც ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ნაგებობაა. ამ შენობაში 1909 წელს გაიხსნა კინოთეატრი „აპოლო“. სულ მალე იგი თბილისელთა ყველაზე უსაყვარლეს ადგილად იქცა. გარდა კინოჩვენებებისა „აპოლოში“ იმართებოდა სხვა კულტურული ღონისძიებებიც, რომელსაც რეგიონებიდან ჩამოსული სტუმრები და უცხოელი ტურისტებიც ესწრებოდენ.

კინოთეატრ „აპოლოს“ შენობა 20-ე საუკუნის დასაწყისში ევროპაში გავრცელებული მოდერნის სტილის საუკეთესო ნიმუშია. აღსანიშნავია რომ მსოფლიოში ამ სტილით სულ რამდენიმე კინოთეატრია აგებული. დანამდვილებით არ არის ცნობილი თუ ვინ იყო შენობის არქიტექტორი, თუმცა ვიცით, რომ იგი მხატვრულად გაუფორმებიათ ჩეხ და გერმანელ მოქანდაკეებს.

სამსართულიან შენობას ლამაზი სწორ-კუთხა და თაღოვანი ფანჯრები ამშვენებს. ფასადის ძირითად მორთულობას ნაძერწი გირლანდები, გვირგვინები, ცხოველთა და ადამიანთა ფიგურები წარმოადგენს.

მოდერნის სტილის მრავალი ნიშნები შეიმჩნევა ნაგებობის ინტერიერშიც. მაყურებელთა დარბაზი და მოსაცდელი თავის სილამაზით დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე. აქ ფერწერა, ქანდაკება და ჭედურობა ერთ მთლიან კომპოზიციაშია გაერთიანებული რაც ავტორთა ნიჭიერებასა და მდიდარ ფანტაზიაზე მეტყველებს.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ დავით წერედიანის ლექსი „ძველი სიმღერა“, რომელიც მეფის რუსეთის წინააღმდეგ ხალდის[1] აჯანყებას ეძღვნება:

„კარგად იბრძოდნენ
ჩვენი ვაჟები,
ყველაზე უფრო –
გურმაჩ და ჭოხან“.

რა ჩემი საქებარია,
რასაც აქებენ სხვანი...
შემოვლე მთელი ქვეყანა,
მთელი სიგრძე და განი...
კლდის ბზარში ჩაკიდებულო
თვალთა ნათელო, ხალდე,
თავსასთუმალთან, ძილისპირს,
იარაღივით დამდე.

რისთვის იბრძოდნენ ვაჟები,
არ გადიოდნენ ბერას[2],
რისთვის კიდებდნენ ციხეზე

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[1] ხალდე – სოფელი სვანეთში.
[2] ბერაში გავლა – გადაჯვარედინებული იარაღის ქვეშ დამარცხებული მტრის გატარება.

სისხლით შეღებილ პერანგს,
რად ბრიალებდა ქონგურზე
ალმოდებული ჩოხა,
რად მოკვდნენ ასგზის ათასჯერ
ჩემი გურმაჩ და ჭოხან...
– ისე შემყროდეს სიკვდილი,
მხარი ნუ მეგრძნოს ძმისა!
– მტრისგანამც გამომეჩოქოს
დასამარხავი მიწა!
ეგებ არც ისე ძნელია,
სულის უჟამო ხდამდე
უფსკრულზე დაკიდებული
ტყვიას ტყვიაში სვამდე,
ტკივილის ძაფსღა ემაგრო,
ბოლო ხავილის ეხოს,
არა ძალა და იმედი,
სასოწარკვეთა გეყოს...

ჩემს ხმაში ბზარად ჩამდგარი
მზის საგალობელს ერთვის:

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

„გაველ და გავხე, ვაჟებო,
ნურამც ყოფილა ჩემთვის“...

განა რა ბევრი მჭირდება,
ვგრძნობდე, თვისტომნი მყვანან,
ვიცოდე, მართლა ჩემია
ჩემი სახლი და ყანა,
ღელეს ვაბრუნო წისქვილი,
მთაში ვაძოვო ძროხა,
ისევ ვაჟებად დავზარდო
ჩემი გურმაჩ და ჭოხან...

... რაც გულში ჯავრი დაგროვდა,
ბნელში დაიწყებს ვარვარს.
ნუ რჯულზე მელაქარდები[3],
შენი მოყვასი არ ვარ.
მთაგაღმეთს დავიკარგები,
ქაშაგს[4] ჩავიყრი ფუძეს,
ისლამურ მთვარეს ამოვჭრი

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[3] ლაქარდი – ტკბილი სიტყვა, ლაქუცი, პირფერობა.
[4] ქაშაგი – აქ: ადიღეური ტომების საერთოქართული სახელწოდება.

შენს ღალატიან გულზე.
ისე შემყროდეს სიკვდილი,
მხარი ნუ მეგრძნოს ძმისა,
მტრისგანამც გამომეჩოქოს
დასამარხავი მიწა...

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა ფუნქცია აკისრია ლექსის ეპიგრაფს?

ა) აჯანყების გამომწვევ მიზეზებს განმარტავს.
ბ) აჯანყების დამარცხების შედეგებს აანალიზებს.
გ) აჯანყებულთა წარმოშობაზე აქცენტს აკეთებს.
დ) მკითხველს აჯანყების მონაწილეებს აცნობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. რის თქმა სურს ავტორს ლექსის დასაწყისში?

ა) რომ მთელი მსოფლიოს შემოვლას აპირებს.
ბ) რომ მისი სათქმელი სხვებისგან გამორჩეულია.
გ) რომ მისი ცოდნა სამყაროს შესახებ საფუძვლიანია.
დ) რომ სხვების ქებას ყურადღებას არასდროს აქცევს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. ლირიკული გმირის რა განცდაა გამოხატული სტრიქონებში:

„თვალთა ნათელო, ხალდე,
თავსასთუმალთან, ძილისპირს,
იარაღივით დამდე“?

ა) აფორიაქებს ყველასგან მიტოვებულ სოფელში ღამის გათევა.
ბ) მოსვენებას არ აძლევს წინაპრების სევდიანი თავგადასავალი.
გ) სიამაყით ავსებს ხალდელების ძველი თოფ-იარაღის ყურება.
დ) სიამოვნებს მთვარით განათებული ხალდის ხეობის ცქერა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. რა არის ქვეტექსტი სიტყვებისა: *„რად მოკვდნენ ასგზის ათასჯერ...“*?

ა) ხალდელების სიკვდილი ბრძოლაში მათი გამარჯვების საწინდარია.

ბ) ხალდელების სიკვდილი ძველი მეომრების გმირობის გაგრძელებაა.

გ) ხალდელების ტრაგედია გულწრფელი ემოციების საბედისწერო შედეგია.

დ) ხალდელების ტრაგედია შიდა დაპირისპირებების სავალალო ნაყოფია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. რომელ სტრიქონებშია მხატვრული საშუალება?

ა) „ვიცოდე, მართლა ჩემია
ჩემი სახლი და ყანა...“

ბ) „ისევ ვაჟებად დავზარდო
ჩემი გურმაჩ და ჭოხან...“

გ) „რისთვის კიდებდნენ ციხეზე
სისხლით შეღებილ პერანგს...“

დ) „ტკივილის ძაფსღა ემაგრო,
ბოლო ხავილის ეხოს...“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 7. რა აიძულებდა აჯანყებულებს ბრძოლას?

ა) მუსლიმური რელიგიის გავრცელების საფრთხე.
ბ) საკუთარი თვითმყოფადობის დაცვის სურვილი.
გ) ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლების მუქარა.
დ) წინაპართა დამსახურების უარყოფის მოთხოვნა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. ლექსის მიხედვით, რა სჭირდება ადამიანს ბედნიერებისათვის?

ა) საკუთარ მიწაზე თავს თავისუფლად გრძნობდეს.
ბ) მზის სადიდებელ საგალობელს მღეროდეს.
გ) ცხოვრებას მუდმივ ბრძოლებში ატარებდეს.
დ) წინაპრებზე უკეთეს შთამომავლობას ზრდიდეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. რატომ ამბობს ლექსის ლირიკული გმირი:

„ნუ რჯულზე მელაქარდები,
შენი მოყვასი არ ვარ“?

ა) რადგან კეთილდღეობის სანაცვლოდ მორჩილებას აიძულებენ.
ბ) რადგან მოღალატეები ქვეყნიდან გაძევებით ემუქრებიან.
გ) რადგან მტერი თავის მიზანს ერთმორწმუნეობით ნიღბავს.
დ) რადგან მტერი მამა-პაპათა ეკლესიებში ლოცვას უკრძალავს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. რა მხატვრული საშუალებაა:

„...რაც გულში ჯავრი დაგროვდა,
ბნელში დაიწყებს ვარვარს“?

ა) ალუზია.
ბ) ეპითეტი.
გ) მეტაფორა.
დ) შედარება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. რომელ ფრაზაში ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკული გმირის „განწირულის სულისკვეთება“?

ა) „არა ძალა და იმედი,
სასოწარკვეთა გეყოს...“
ბ) „განა რა ბევრი მჭირდება,
ვგრძნობდე, თვისტომნი მყვანან...“
გ) „ისლამურ მთვარეს ამოვჭრი
შენს ღალატიან გულზე“.
დ) „მტრისგანამც გამომეჩოქოს
დასამარხავი მიწა...“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. უთანასწორო ბრძოლებში თავგანწირვა, მიუხედავად შედეგისა, ერის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი იაკობ ხუცესის თხზულებიდან „შუშანიკის წამება“:

და იჯმნა მეფისაგან სპარსთაისა პიტიახშმან. და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაითა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი, და მისნი ძენი, და მსახურნი მისნი, რაითა მათ გამო, ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა სადიასპანოითა ცხენითა მონაი თვისი, ვითარმცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქვიან ცურტავ.

და ვითარცა მოიწია და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, კითხვაი ჰრქუა. ხოლო სანატრელმან შუშანიკ, ვითარცა წინაიწარმეტყველმან, ჰრქუა:

– უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენი შენდავე მოიქეცინ!

ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა. ხოლო წმიდაი შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართალი და ჰრქუა, ვითარმედ:

– ვარსქენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი.

ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა:

– საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა.

და აღდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა, და თანა მიიყვანნა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული, და წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველსა, და ესრეთ ილოცვიდა და იტყოდა:

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი.

და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწრითა სავსეი და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.

ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისაი, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაისმე სიტყვისა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას. და მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაით და გვითხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლვაი პიტიახშისაი და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ განმწარებულნი ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათვის.

ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ. და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს:

– ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო. ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტეისსა, ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსვილმან, საძოვარი პოოს შენ თანა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე:

– ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ.

და მე ვარქუ მას:

– ეგრეით არს. მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ!

ხოლო მან მრქუა მე:

– ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე.

ხოლო მე ვარქუ მას: – ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა, ვითარცა შვილთა, გუხედევდ.

და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადადრე:

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

– ვითარ გეგულების, მითხარ მე, რაითა უწყოდი და აღვწერო შრომაი შენი.

ხოლო მან მრქუა მე:

– რაისა მკითხავ ამას?

და მე მიუგე და ვარქუ მას:

– მტკიცედ სდგაა?

და მან მრქუა მე:

– ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა!

მე მიუგე და ვარქუ მას:

– მწარე გონებაი აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ.

ხოლო მან მრქუა მე: – უმჯობეის არს ჩემდა ხელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაი და წარწყმედაი სულისა ჩემისაი; რამეთუ მასმიეს მე პავლეის მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაი გინა დაი, არამედ განეყენენ“.

და მე ვთქუ:

– ეგრეთ არს.

და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა:

– ესევითარი სახლი მშვიდობისაი ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!

ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაი ნეტარისაი მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითა იგი ზრახვაი მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა მიზნით დაიბარა ვარსქენმა *„აზნაურნი, და მისნი ძენი, და მსახურნი მისნი“*?

ა) სარწმუნოების შეცვლის ამბავი პირველად ახლობლებისათვის რომ ეთქვა.
ბ) სპარსეთიდან დაბრუნებულს დიდებულებთან თავი რომ მოეწონებინა.
გ) მხარდამჭერთა ერთგულებაში კიდევ ერთხელ რომ დარწმუნებულიყო.
დ) ქვეშევრდომთა თანხლებით საპიტიახშოში დიდებით რომ შესულიყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. რას იგებს მკითხველი შუშანიკ დედოფლისა და შიკრიკის დიალოგიდან?

ა) რომ დედოფალს ქმრის ერთგულებაში ეჭვი არ ეპარება.

ბ) რომ დედოფალი ქმრის მერყევ ბუნებას კარგად იცნობს.

გ) რომ შიკრიკი სპარსეთში მომხდარ ამბებს მალავს.

დ) რომ შიკრიკი ვარსქენის პოზიციას არ ეწინააღმდეგება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. რა მიზნით წაიყვანა დედოფალმა შვილები ეკლესიაში?

ა) ვარსქენის სულის სახსნელად ერთად რომ ელოცათ.
ბ) ღმერთისათვის შვილების მფარველობა რომ ეთხოვა.
გ) როგორმე ეპისკოპოსის მხარდაჭერა რომ მოეპოვებინა.
დ) ტაძართან ახლოს ცხოვრების ნებართვა რომ მიეღო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. რატომ ატირდნენ სასულიერო პირები, როცა შეიტყვეს *„მოსლვაი პიტიახშისაი და საქმენი დედოფლისანი“*?

ა) შიშობდნენ დედოფალი პიტიახშის გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო.

ბ) მომხდარ უბედურებას თავიანთი ცოდვების საზღაურად მიიჩნევდნენ.

გ) ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი ქვეყანაში არეულობას გამოიწვევდა.

დ) პიტიახშის გადაწყვეტილება მათს საქმიანობას მთლიანად შეზღუდავდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რომელ ფრაზაში არის შედარება?

ა) „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს“.
ბ) „დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა...“
გ) „ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას...“
დ) „ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსვილმან, საძოვარი პოოს შენ თანა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რის შესახებ აფრთხილებს იაკობ ხუცესი დედოფალს?

ა) რომ შვილები მის განზრახვას მხარს არ დაუჭერენ.
ბ) რომ წინააღმდეგობის გამო დიდი ტანჯვა მოელის.
გ) რომ ხალხი დაპირისპირებაში ბრალს მას დასდებს.
დ) რომ სასულიერო პირები ქმრისაგან ვერ დაიცავენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. რომელ ფრაზაშია გამოყენებული სიტყვა *საიდუმლოდ*?

ა) „და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადადრე“.
ბ) „წარმოჰმართა სადიასპანოითა ცხენითა მონაი თვისი“.
გ) „ხოლო წმიდამან ცნა ზაკუვითა იგი ზრახვაი მისი“.
დ) „კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო...“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რა უთხრა შუშანიკ დედოფალმა თავის მოძღვარს?

ა) რომ პავლე მოციქულის ეპისტოლეს გაეცნობოდა.
ბ) რომ ოჯახსა და შვილებს არასდროს მიატოვებდა.
გ) რომ ვარსქენის თანამოაზრე არასდროს გახდებოდა.
დ) რომ „სპარსისა“ და ვარსქენის კავშირს ამხელდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. როგორ ახასიათებს ვარსქენ პიტიახშს ხუცესის სიტყვები: *„მწარე გონებაი აქუს მას“*?

ა) როგორც დაუფიქრებელსა და სულსწრაფს.
ბ) როგორც ორპირსა და ფარისეველს.
გ) როგორც სასტიკსა და დაუნდობელს.
დ) როგორც ენამწარესა და ღვარძლიანს.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე](#)

(1) 11. **რას ნიშნავს ფრაზა:** *„არა დამონებულ არს ძმაი გინა დაი, არამედ განეყენენ“*?

ა) მორწმუნის ნება თავისუფალია.
ბ) მორწმუნის ნება შეზღუდულია.
გ) მორწმუნის ნება დათრგუნვილია.
დ) მორწმუნის ნება განსაზღვრულია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. გარდაუვალ განსაცდელთან გამკლავება ადამიანისაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.